

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2019 წელი, 6 მარტი

ქ.ოზურგეთი

15.00-16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლ. საჯაია - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, მ.ზოიძე, ალ.დლონტი, ლ.ბიგვავა, ნ.ორაგველიძე, ლ.ნინიძე, ჯ.თავართქილაძე, ვ.ჩიგოგიძე, რ.სკამკოჩაიშვილი, დ.მამალაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხს:ლ საჯაია

კომისიის წევრებმა მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის მოკლე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მართალია კომისიამ იმსჯელა მერიის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის ცვლილებების პროექტზე, მაგრამ დასაფინანსებელი კულტ-საგანმანათლებლო ორ ახალ პროექტზე სათანადო დასაბუთებისა და გამჭვირვალობის, (ხარჯების ჩაშლის) არასაკმარისობის გამო აუცილებელი გახდა მათი ცალკე განხილვა და მსჯელობა. კომისიის წევრებმა მოისმინეს ა(ა).ი.პ „მოსწავლე ახალგაზრდობის სარეკრიაციო დაწესებულებათა გაერთიანება“-სთან არსებული ე.წ. ტექნოლოგიური, კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელი 4-ჯგუფის შესაქმნელად 150 ათასი ლარის გამოყოფის შესახებ, რომელშიც ისწავლიან მოსწავლეები 10 წლის ასაკიდან, მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველის ფინანსურ საკითხებში ალ. ბერიძის ვრცელი მოხსენება, აღმოჩნდა, რომ თანხა გათვალისწინებულია როცორც ტექნიკის შესაძენად, ასევე ოთახის რემონტისათვის. კომისიის წევრებმა მოიწონეს და დაეთანხმნენ ამ პროექტის

დაფინანსებას. კომისიის წევრმა ვ.ჩიგოგიძემ გამოთქვა აზრი, რომ უკეთესი იქნება თუ ჯგუფები განთავსდება სოფელ ოზურგეთის კულტურის სახლის შენობაში.


კომისიის წევრმა მ.ზოიძემ გამოთქვა აზრი ადმინისტრაციული ერთეულებში მერის წარმომადგენლებისათვის კომპიუტერული ტექნიკის განახლების აუცილებლობაზე.

კომისიის წევრებმა ასევე მოისმინეს ამავე არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის დირექტორის მოადგილის კ.ბანძელაძის მოხსენება დამატებით 70-ათასი ლარის გამოყოფაზე, რომელიც მოხმარდება ქალთა ორი ფოლკლორული ანსამბლის „ალილუა“-ს და „რეხოული“-ს დაფინანსებას და გიტარის შემსწავლელი წრის შექმნას და მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას. კომისიის წევრმა ლ.ბიგვაძამ მომხსენებელს მოსთხოვა ამ ანსამბლების და გიტარის შემსწავლელი წრის შექმნა-დაფინანსების აუცილებლობის დასაბუთება და მიღებული მოსალოდნელი ეფექტის განმარტება, რაც პროექტის ავტორს არ გააჩნდა. ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირა კომისიის წევრმა მ.ჩხიკვიშვილმაც. კომისიის წევრ ვ.ჩიგოგიძის აზრით, ამდენი ფოლკლორული ანსამბლის შექმნა-დაფინანსებას სჯობია შეიქმნას ერთი ან ორი გაერთიანებული პროფესიონალური ანსამბლი მაღალი ანაზღაურებით. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ ორთავე პროექტის დაფინანსებას თუ საკრებულოს სხდომამდე პროექტის ავტორები კომისიაში წარმოადგენენ პროექტის განხორციელებისა და დაფინანსების აუცილებლობას.

გადაწყვიტეს:

მხარდაჭერილ იქნას ორთავე პროექტი კომისიაში, საკრებულოს სხდომამდე, ავტორების მიერ, მათი განხორციელებისა და დაფინანსების თაობაზე ჯეროვანი დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში.

ლელა საჯაია



კომისიის თავმჯდომარე
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია